| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და ყველა განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ჩიქოვანის სავაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი


სახლობა დიმიტრი ივანეს ძის ყიფიანისა აუწყებს მიცვალებულის ნათესავთა, მახლობელთა, ნაცნობთა და პატივის-მცემელთა, რომ ამ თთვის 7-ს, შაბათს, დილის 10 საათზედ, გვამსა გარდაცვალებულის დიმიტრისას მოასვენებენ ტფილისის რკინის გზის სადგურზედ, საიდამაც წამოასვენებენ ქაშუეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში და პანაშვიდს გადაუხდიან. მეორე დღეს, 8 ნოემბერს, კვირა დილით, ამავე ქაშუეთის ეკკლესიაში იქმნება წირვა და ანდერძის აგება. ქაშუეთის ეკკლესიიდამ მიცვალებულს წაასვენებენ დასასაფლავებლად მთაწმინდას, წმ. დავითის ეკკლესიის გალავანში.

(2—1)

განსვენებულის დიმიტრი ივანეს ძის ყიფიანის სახლობა აუწყებს რა, რომ ამ თთვის 6-ს, პარასკევს, დილის თერთმეტს საათზე, მცხეთის სობოროში გადახდილ იქმნება პანაშვიდი განსვენებულის დიმიტრის სახსენებლად, სთხოვს მისს ნათესავთა, მახლობელთა და პატივის-მცემელთა მობრძანდნენ პანაშვიდზე. (2—2)

## ახალი ამბავი

*** ხუთშაბათს, 5 ნოემბერს, ანჩისხატის ეკკლესიაში პანაშვიდი იქმნა გარდახდილი მოსახსენებლად განსვენებულის დიმიტრი ყიფიანისა. პანაშვიდზე ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშალმა მოიწვია გუბერნიის კეთილშობილნი პატივ-საცემლად ყოფილის მარშლისა. პანაშვიდი გარდაიხადეს არხიმანდრიტებმა: პაისმა, სასულიერო სემინარიის რექტორმა, მაკარიმა და სიმონოვმა, თანადასწრებით მღვდელთა და დეკანოზთა. ხალხი საკმაოდ ბლომად დაესწრო.

გალავანში იყიდებოდა ფოტოგრაფიული სურათი დიმიტრი ყიფიანისა, რამდენიც-კი მოეტანა ფოტოგრაფს, სულ ერთიან გაიყიდა.

*** ჩვენ მივიღეთ თელავიდამ შემდეგი დეპეშა: „დიდად შეგვაძრწუნა ღრმად პატივცემულის დიმიტრი ყიფიანის მოკვლის ამბავმა. გთხოვთ თქვენის გაზეთის შემწეობით გარდასცეთ განსვენებულის ქვრივს, რომ მასთან ერთად ჩვენც დიდად ვწუხვართ და ვგლოვობთ როგორც მისთვის, ისე ჩვენთვისაც ერთ ნაირად ძვირფასს დანაკარგს. ბოროტ-მოქმედმა წაგვართვა ძვირფასი დიმიტრი, მაგრამ მით იმ დიდს სიყვარულს-კი ვერ წაგვართმევს, რომლითაც გვიყვარს მისი ნათლით მოსილი სახე. ხსენება მისი საუკუნოდ დარჩება ჩვენს გულში“. თელავის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავადი ვახვახოვი, თავადი ზაქარია ვახვახოვი, თავადი რუსიევი, ყარანგოზოვი, ლეონიძე, ალექსი-მესხიშვილი, მახეილ ციცქიშვილი, თ. ივანე ჯორჯაძე, თ. ჭავჭავაძე.

*** დაბა ხონიდამ გვწერენ: «დიდი ქვითინი და მწუხარებაა ამ ჟამად ხონში დიმიტრი ივანეს ძის ყიფიანის გარდაცვალებისა გამო; დიდი ცრემლის ფრქვევაა ნეტარ-ხსენებულის აგრე მოსწრაფებულ სიკვდილისა გამო. მთელის დაბის მცხოვრებნი, ვინც-კი იცნობდა, ან სახელი გაუგონია განსვენებულისა, გულ-ხელ-დაკრეფილი, სახე გაფითრებული და თავ-ჩაღუნული თავის თავს ეკითხება—ეგ რა მოგვივიდა, ვინ დაგვეკარგაო?.. გინდა დუქანში, გინდა ოჯახში, გინდა ქუჩაზე, გინდა მოედანზე—სულ ყველა ამას გაიძახის, რომ ნეტავ რა იყო მიზეზი დ. ივ. ყიფიანის აგრე უეცრივ სიკვდილისაო. ძლიერ სწუხს საზოგადოება ამ ძვირფასის, ერთგულის და დაუღალავის მამულიშვილის დაკარგვასა. ყველა იმას გაიძახის: დავკარგეთ კაცი, მაგრამ რა კაცი,—ენამეტყველი, სიმართლით სავსე, ხასიათით მტკიცე, მოძმესათვის მხარის მიმცემი და ქვეყნის მეტის სიყვარულით მუდამ დაღონებული და დატანჯული; დავკარგეთ კაცი, მაგრამ რა კაცი,—კაცი, რომელიც ილვწოდა ქვეყნისათვის, და არა სახელისა, არა დიდებისა, არა ფულისათვის.

*** ჩვენა ვნახეთ სურათი დიმიტრი ყიფიანისა, სტავროპოლში გადაღებული. განსვენებული ასვენია კუბოში და უჩანს პირი-სახის ცალი მხარე, რომელიც ჩამტვრეული აქვს. უღმერთს ხელს მკვლელისას ისე დაუსახიჩრებია მშვენიერი სახე დიმიტრისა, რომ ვეღარ იცნობს კაცი. სურათზე ეტყობა, რომ კანი გაკერილია ძაფებითა; აგრეთვე ეტყობა, რომ თვალისა, ლოყისა და შუბლის ძვლები აღარა აქვს და მათ მაგიერ რაღაც სხვა საგანი, როგორც გვითხრეს, ბამბა, ჩაუდვიათ სახიერების აღსადგენად. თავ-ზარ დამცემი სანახავია ეს სურათი.

*** სტავროპოლიდამ მოსულებმა გვიამბეს, რომ შინაგანი განსვენებულის დიმიტრისა გაჰგზავნეს პეტერბურგში, რათა მცოდნე ექიმებმა გასინჯონ და თავიანთი აზრი წარმოსთქვან. თურმე სტავროპოლის ექიმებს ეჭვი აქვთ, რომ დიმიტრი ყიფიანისათვის რაღაც შხამი მიუციათ, ჰფიქრობენ, დასაძინებლადაო და როცა დაუძინებიათ, მერე მოუკლავთო. მით უმეტესს საფუძვლიანია ეს ეჭვი, რომ თურმე უკანასკნელ დროს ძილი თითქმის სრულებით არა ჰქონდა დიმიტრისა.

*** ვიდრე დიმიტრი ყიფიანის გვამი ესვენა სტავროპოლს, 7-ჯერ იქმნა პანაშვიდი ამ ქალაქის ეკკლესიებში გარდახდილი. პატივის-მცემელნი ძრიელ ბლომადა ჰყოლია დიმიტრის სტავროპოლში და მრავალი ხალხი დაიარებოდა პანაშვიდებზე, როგორც ქართველნი, აგრეთვე სომეხნი და ყველაზე უფრო მომეტებულად რუსნი.

*** დიმიტრის გვამის გამოსვენებაზედ თითქმის მთელი სტავროპოლი, დიდი და პატარა, მოხელენი და დიდკაცობა, ქალი და კაცი, ყველანი გამოსტიროდნენ მარად სახსენებელს დიმიტრის. მაღაზიების და დუქნების პატრონებმა ყველამ დაჰკეტეს თავიანთი სავაჭრო სახლები და ამ გვარის მოქმედებით პატივი სცეს ღრმად მოხუცებულს სახელოვანს დიმიტრისა.

*** ვლადიკავკავიდამა გვწერენ, რომ დიდის ყოფით იქმნა გარდახდილი პანაშვიდი ამ ქალაქში, როდესაც შემოასვენეს გვამი დიმიტრი ყიფიანისა. იმ დღეს აქაურმა ვაჭრებმაც სცეს პატივი განსვენებულის სახელსა და დაჰკეტეს დუქნები და მაღაზიებიო.

*** დუშეთში შეღამებულზე ჩამოასვენეს გვამი დიმიტრი ყიფიანისა. მაზრის გლეხ-კაცობა, სხვა-და-სხვა სოფლებიდამ მოსული, და ქალაქის მცხოვრებნი მიეგებნენ ანთებულის კვერებითა. ღამით მცველს უყენებენ ხოლმე მიცვალებულსა. გლეხობამ ითხოვა, რომ იმ ღამეს დუშეთში მცველობა მათთვის მიენდოთ, და გათენებამდე ჰყარაულობდნენ დუშეთის მაზრის გლეხნი.

*** 4 ნოემბერს დიმიტრი ყიფიანი ჩამოასვენეს მცხეთაში. ჭირისუფალთ წინ დახვდა მცხეთის დედათა მონასტრის წინამძღვარი თავის მონაზონებითა და პატივი სცა განსვენებულის გვამსა. აგრეთვე პატივი სცეს მცხეთის მცხოვრებთა.

*** გორი: გუშინ პირველს გიორგობისთთვიდამ დაიწყეს გორში ახლად მოწოდებულ მხედართა წლოვანების შემოწმება სახეების გასინჯვით. დღეს, ამ თთვის 2-სა, მოწოდებულთა სია წაიკითხეს და გამოუცხადეს, ვის რა შეღავათი მიეცა; უთხრეს, სთქვან, გამოუცხადონ კრებას, თუ ვინმე ჩაწერილია შეცდომით და შეღავათი-კი უნდა მისცემოდა. დიდ-ძალი ხალხია ჩამოსული; თან ჩამოჰყვნენ დედები, მამები, ძმები და ნათესავები. თვითონ მოწოდებულნი მხიარულად არიან, მაგრამ მშობლები-კი სულ იმდუღრებიან. აგერ როტონდას გვერდით, სადაც არის კრება, დგანან დედაკაცები და ქვითინებენ. დღეს დაამზადეს და შეამოწმეს ბილეთები ამოსაღებად. მანამ სიების კითხვას შეუდგნენ, გადაიხადეს პანაშვიდი, რომლის შემდეგ გორის დეკანოზმა მ. ბესარიონ თაყდგირიძემ მოკლე, მაგრამ გრძნობით სავსე სიტყვით მიჰმართა მოწოდებულთა; აუხსნა მოვალეობა მათი, დაარიგა, რომ ისინი უნდა იყვნენ ერთგულნი ხელმწიფისა, სამშობლოსი და ეკკლესიისა.

გორში რომ გაათავებენ, შემდეგ კომისია წავა მოსაწოდებლად ჯავასა და ცხინვალში და ბოლოს სურამის თემში.

*** ახალ-სოფელი: ახალ-სოფელი მდებარეობს ქართლში, გორის მაზრაში; ეს სოფელი მიწერილია სკოლის ხარჯისა გამო სოფელს ხელთუბანზე, სადაც „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“ აქვს გამართული სკოლა. ახალ-სოფელი კარგად მოშორებით არის ხელთუბანზე, ასე რომ ბავშვებს არ შეუძლიანთ სიარული; ამაზე კიდევ შორს არის სოფ. შაშვები, ხელთუბანზე მიწერილი. ახალ-სოფლელი გლეხ-კაცობა ჩივის: ჩვენც ეხლა გვესმის, რომ სკოლა კაი საქმე არის, მაგრამ ჩვენ ვერას ვიყენებთ, რადგანაც ჩვენი შვილები იმ სიშორეზე ვერ ივლიანო. ტყუილად ხარჯს ვიღებთ და ჩვენ შვილებზე-კი არა იხარჯება-რაო. ახალ-სოფელს-კი ბევრი სოფლები აკრავს გარშემო: შაშვები, ზელდულეთი და ზემო და ქვემო სობისი. ამ ოთხს სოფელს ძალიან ადვილად შეუძლიან თავისი საკუთარი სკოლა იქონიოს ახალ-სოფელში, ან ზელდულეთში, იმ სიშორეზე სიარულსა, როგორც ხელთუბანია. ხალხი მოხარულია გაჰმართოს აქ სკოლა, რადგანაც აქედგან თითქმის არც ერთი ბავშვი არ დაიარება ხელთუბნის სკოლაში.

## წერილი ბათუმიდამ

დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანის ასე უბედურად სიკვდილმა თავ-ზარი დასცა აქაურს ქართველებს. ნეტავი იმას, ვისაც ასეთი ღვაწლი დაუთესია, რომ ყველა დიდი და პატარა ასე გულწრფელად სწუხს ამ იშვიათის კაცის სიკვდილზე. გაიგეს თუ არა ეს სამწუხარო ამბავი, მაშინვე პანაშვიდი გადაიხადეს აქაურს რუსის ეკკლესიაში. პანაშვიდი გარდახდილ იქმნა ქართულად.

**

ბათუმის მომრიგებელი მოსამართლე, ბ-ნი გუსსონი, დიდის გულ-მოდგინებით, იკვლევს ბათუმის დეპუტატების საქმეებს. დღეს იმის ანგარიშში არიან, თუ რა ყოფილა ან შემოსავალი, ან გასავალი დამოქნის უწყებიდგან. ამ შემოსავლიან წყაროდგანაც კარგა მოუთბიათ ხელი ბათუმის დეპუტატებს. აქაც აღმოჩნდა, რომ ორმოც ათას მანეთზე მეტი გაუფლანგავთ. როგორცა სჩანს საქმიდგან, ყველა წყაროები ქალაქის შემოსავლისა თუ ასე სასტიკად და გულმოდგინებით გაისინჯა, ნახევარ მილლიონამდის აღმოჩნდება გაფლანგული ფული! გიკვირს და ყურს არ უჯერებ ამ გვარს გამბედაობას მოხელეთაგან. კანონისამებრ გუსსონს წარუდგენია თავისი აზრი ქუთაისის საგუბერნიო მმართველობისათვის, რომ ყველა ის მოხელენი, რომელთაც მონაწილეობა მიუღიათ ამ თავ-ხედ ცარცვა-გლეჯაში, სამსახურიდგან იყვნენ გადაყენებულნი და მიეცნენ სამართალსა. ერთი მეთაურთაგანი ამ მცარცველთა ბრბოსი დათხოვნილ უნდა იქმნას სამსახურიდგან მთავარ-მმართებლის მიერ, რადგანაც ეს კაცი დანიშნულია უმაღლესის მთავრობისაგანაო. დიაღ, ეხლა-კი ადვილი გასაგებია, საიდგან და როგორ წამოჰკიმეს ბათუმში ორ და სამ სართულიანი უზარმაზარი სახლები.

ეხლა-კი უთუოდ ეღირსება ბათუმს თვით-მმართველობა. მაშინ, იმედია, ქალაქს ისე თავ-ხედად და ტიალად აღარ დაუწყებენ ცარცვა-გლეჯასა. თავი ქალაქისა პირველ ხანებში მმართველობამ უნდა დანიშნოსო. ბათუმს ეჭირვება განვითარებული კაცი, რადგანაც აქ საადგილ-მამულო საქმე ისეა აწეწილ-დაწეწილი, რომ ბაბილონის გოდოლსა ჰგავს. განვითარებულს ქალაქის თავს თავის ხელ-ქვევითად ეყოლება განათლებული ხუროთ-მოძღვარი, განათლებული ვექილი, იურისტი და სხ. დღეს ბათუმს ისეთი ხუროთ-მოძღვარი ჰყავს, რომ ამისაგან დაქსელილი ნაწილები ქალაქისა არ ვიცი თუ მოეწონოს მცოდნე არხიტექტორს.

**

აქლემები წაიკიდნენ და კოზაკი შუაში გამოიჭყლიტესო, ამისი არ იყოს, ისე დაგვემართა სწორედ ბათუმელებს. ბათუმის ოლქის მმართველს და აქაურს ტყის მცველს ერთმანერთში რაღაც კინკლაობა მოუვიდათ. ეს კინკლაობა ჯერ-ჯერობით იმითი გათავდა, რომ მმართებლობამ მოახდინა განკარგულება, ტყე სიფრთხილით უნდა იკაფოსო, სანახშირო და სანთები შუა შიგა-და-შიგ უნდა იკაფოსო, აქედგან უნდა საჟენები ერთად დაეწყოს და საჟენებზე უნდა დაედოს გარდასახადიო. ამ განკარგულებით ტყეც უწყალოდ და უწესოდ აღარ გაიკაფება და მმართებლობასაც უფრო წესით და რიგით შემოუვა

გარდაწყვეტილი შემოსავალი საქონბითაო. სანამ ეს განკარგულება სისრულეში მოვა და თავის დონეზე დადგება, ჩვენ ფუთს ნახშირში მანეთი უნდა ვაძლიოთ!

ჩათუმელი

## წერილი სიღნაღიდამ

25 ოქტომბერს ტფილისის გუბერნიის საერო სკოლათა დირექტორის განკარგულებით ქ. სიღნაღს იყვნენ მიწვეულნი მაზრის ყველა სასოფლო სკოლების მასწავლებელნი მოსალაპარაკებლად ზოგიერთ საყურადღებო საგნებზედ, აგრეთვე სიღნაღის საქალაქო სასწავლებლის პედაგოგთა გაკვეთილებზედ დასასწრებლად და გაკვეთილების მისაცემად. ამ კრებამ გასტანა სამი დღე. სამმა საქალაქო სკოლის მასწავლებელმა მისცა სამაგალითო გაკვეთილი და ორმა სოფლისამ; ამ გაკვეთილების გარჩევის შემდეგ იქმნა გადათვალიერებული სოფლის სკოლის დავთრები. ლაპარაკი იყო საზოგადო რიგზე რვეულების შესწორებისა და სხვანი. ბოლოს ბ-ნმა დირექტორმა სთქვა შემდეგი: მე კაი ხანია, რაც დირექტორადა ვარ, და ერთი სკოლა არ მინახავს, რომ ბ-ნ მზრუნველისაგან მოცემული სამასწავლებლო გეგმა სრულდებოდეს. ამაში, რასაკვირველია, თქვენ არა ხართ დამნაშავე. დრო ცოტა არის და ვერ ასწრობთ. ამიტომ კარგი იქნება, რომ თქვენც პირ-ნათლად გამოხვიდეთ და ცოტა ადრე დაიწყოთ რუსულის სიტყვების და ფრაზების სწავლებაო.

გეგმით პირველის წლის მეორე ნახევრიდგან იწყება შესწავლა რუსულის სიტყვებისა და ფრაზებისა; ეხლა-კი დირექტორი თხოულობს 1 ნოემბრიდგან დაწყებას, ე. ი. პირველის წლის პირველ ნახევრიდგანვე.

**

სიღნაღში, როგორც მოეხსენება მკითხველს, კაი ხანია არსებობს სამკლასიანი საქალაქო სასწავლებელი. აქაურ საპატიო მოქალაქეთა მოუნდომებიათ, ამ სასწავლებლის ოთხკლასიანად გადაკეთება. აზრი და სურვილი ფრიად მშვენიერი და მოსაწონია. ვინ არ იცის, რომ ოთხ-კლასიანს სასწავლებელში უფრო ბევრს ცოდნას შეიძენს მოწაფე და მარჯვედაც მოემზადება სხვა სასწავლებელში შესასვლელად. ამ აზრის განსახორციელებლად თხოვნაც შეიტანეს თურმე ამას წინად. პასუხი მოუვიდათ, რომ ოც-და-ათი თუმანია საჭირო თქვენის სურვილის აღსრულებისათვისაო. ეხლა, ამ ორის დღის წინად, სიღნაღელებმა შეიტყეს, რომ იმათს ქალაქს სწვევია ერთი კაცი, რომელსაც შეუძლიან ამ სატკივარს მალამო დაადოს. მაშინვე აფრინეს დეპუტაცია. დეპუტაციის წინამძღოლმა ასეთი მოსაზრება მოახსენა გავლენიან კაცსა: „გთხოვთ გვიშუამდგომლოთ მთავრობასთან, რომ საჭირო 300 მანათი ჩვენის საქალაქო სასწავლებლის მეოთხე კლასის გასახსნელად მთავრობამ იკისროს, თორემ მეტი ღონე არა გვაქვს, ახალი გადასახადი უნდა შემოვიღოთო“.

გასჭრის თუ არა ამ გვარი თხოვნა, ამას ალლახი უწყის, და რამდენად სამართლიანი და ჭკვიანურია სიღნაღელების მოსაზრება, ეს მკითხველმა განსაჯოს.

**

სოფ. კარდენახში ქურდობამ იკლო. ახლა ერთმანერთის ჯავრის ამოსაყრელად კუდებსა სჭრიან ცხენებს. სიცილს ვერ შეიკავებს კაცი, როდესაც ჰხედავს ამ გვარ კუდ-მოჭრილ ცხენზედ მჯდომს მხედარსა. ადგილობრივი პოლიცია ძრიელ სასტიკს ღონის-ძიებასა ხმარობს ამ უპატიოსნო საქმის ჩამდენთა აღმოსაჩენად, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერა გაუწყვიარა. გუშინ-წინ ერთის მედუქნის ცხენს ვიღამაც ზედ დუქნის კარებზედ მოსჭრა კუდი. ეს ბედაური, ოც თუმნიანი ცხენი, ეხლა სირცხვილით ვეღარ გამოუყვანიათ კარში.

ნ. ქართლელი

## სიტყვა თქმული მცხეთის სობოროში გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის გრიგოლის მიერ კნეინა ნინო დადიანის წლის წირვაზე 29-ს ოქტომბერს 1887 წ.

სახელითა, მამისათა, და ძისათა და სულითა წმიდისათა.

დიდება შენდა, ტაძარო წმინდაო, დედაო საქართველოს ეკკლესიათაო, რომელმანცა მიეც ადგილი განსასვენებელი მხევალსა ღთისასა დადიანის ასულს, კნ-ა ნინოს. დიდება შენდა, სვეტო ცხოველ წარმმართველო და მფარველო ივერიის ერისაო! ვინ მისწვდეს განგებასა დამბადებელისასა, ვინ განზომოს სიბრძნე ცათა და ქვეყანისა შემოქმედისა!

სადა არიან ფილოსოფოსნი, რომელთა შეიგნონ განზრახვა განგებისა; სადა არს ისტორიისა მწერალი, რომელმანცა გვიჩვენოს გზა განვლილი და განსავლელი კაცთა ნათესავისა! ვინ კაცთაგანმა სცნას ჩვენ ქართველთათვის მიზეზი მრავალ საუკუნოვანის ცხოვრებისა და დიდთა გაჭირვებათაგან გამოსვლისა მცირედისა საქართველოს ერისა? ვინ მოგვითხრას, ვითარითა ცვალადობითა შეერთებულ არს ამა ჟამისა ქართველი ივერიელთა მამათ-მთავრის ქართლოსისათანა; ვინ გვეუბნოს, ვითარითა ზნეობისა თვისებითა და ხასიათითა ეკვრის დღევანდელი ქართველი ქალი ქართველთა განმანათლებელის მოციქულთა ჰსწორის ნინოს თანამედროვეთა. გონება კაცისა შეიგნებს მხოლოდ გარეგანსა სახესა ზოგადობისასა, გარნა დაფარული ღთაებრივი ჰაზრი განგებულებასა, რომელიცა სძევს ერთა და ტომთა ცხოვრებასა და ისტორიასა შინა, მიუწთომელ არს მისთვის. ჩვენ მხოლოდ შეგვიძლიან ვადიდოთ ღმერთი, „ფილოსოფოსთა“ სულელად გამომაჩინებელი, ვითარცა იტყვის წმიდა მამა, და უარ-მყოფელთა ღმერთის განგების შეგნებისა. მადლობით შევყურებდეთ წარსულსა ჩვენსა ცხოვრებასა და ვისწავიდეთ მისგან მაგალითსა მომავალისა ჩვენისა ცხოვრებისათვის.

ყოველნივე ესე ფიქრნი იბადებიან გონებასა შინა ჩვენსა წინაშე საფლავისა, რომელსა შინა განისვენა სალმობათაგან სოფლისათა ნეტარხსენებულმა დადიანის ასულმა კნეინა ნინომ. საფლავი ესე არ შეიცავს თვის შორის განსვენებულსა, სიკვდილი რომლისა ჩვენ მხოლოდ გვაწუხებს; იგი შეიცავს განსვენებულსა, რომლისა ცხოვრება ჩვენ უმეტესს გვაფიქრებს. მაშ ვისწავოთ ლელვისაგა იგავი. მოვიგონოთ ცხოვრება განსვენებულისა და მივიღოთ მისგან მოძღვრება, სასარგებლო ჩვენისა ცხოვრებისათვის.

განსვენებული მხევალი ღთისა ნინო იყო ერთი იმ ძველთა ქართველთა დედათაგანი, რომელნიცა იყვნენ წარმომადგენელნი ისტორიულის ქართულის ოჯახისა. მასთან ერთად განქრა ამიერ სოფლით ერთი უდიდესთა ზნეობითთა დედათაგან, რომელნიცა უეჭველიეთ იმორჩილებდენ კაცად-კაცადისა ჩვენისა პატივის-ცემასა. რა იყო მიზეზი ესე ამ გვარის მისის ზნეობითის სიმაღლისა? ქვა-კუთხედი მისის ზნეობისა და ბედნიერის ცხოვრებისა, ანი და ჰოე მისის დიდებისა იყო ღვთის შიში, ღრმა და ცოცხალი სარწმუნოება, რომლისა გარეშე არა არს არავითარი სიკეთე ამა ქვეყნად. ეს სარწმუნოება იყო ყოველთვის ძლიერება ქართველის ქალისა, ქართველის ერისა, ქართველის ისტორიისა. მან სძლია მძვინვარე მტერი, მან აღადგინა დაცემული ერი, მან გვიდგინა სულნი და განგვარინნა სიკვდილისაგან. ამოშალეთ ეს სარწმუნოება საქართველოს წარსულიდამ და თქვენ დაინახავთ რა წყვდიადი შემოსხს მას.

როგორც ნამდვილი წარმომადგენელი ქართველის ქალისა, განსვენებული კ-ნა ნინო იყო განმსჭვალული სარწმუნოებითა ქრისტესითა. მან განატარა სიყრმე თვისი იმ ოჯახში, საშვალი იმ საზოგადოებისა, სადაც ბავშვი, ვიდრე იგი ისწავლიდა კითხვას, გულ-ხელ-დაკრეფილი, თავ-შიშველი იდგა საღამო-საღამოთ აღმოსავლეთისაკენ პირ-მიქცეული და სწავლობდა ზეპირად მცირესა სერობასა. მან ამ სიყრმეშივე შეითვისა და სამარის პირადმდე დაიცვა: სიყვარული ღთისა და მოყვასთა, დამარხვა მცნებათა ეკკლესიისათა. არც ურწმუნოებამან, არცა გულ-გრილობამან ვერ შეარყიეს მასში ამ სიყრმეშივე შეთვისებული სწავლა ქრისტესი. სამოც-და-ათის წლის დედა იგი იმავე სიხარულითა და ოლტაცებით ეგებებოდა ბრწყინვალეთა დღესასწაულთა და ინახვიდა კრძალვით მარხვათა, ვითარცა ეგებოდა იგი სიყრმესა შინა. ამასთან რამდენი გულ-წრფელი და მხურვალე ვედრება აღვიდა ქვეყნისა დამბადებელისადმი ამ მორწმუნე ქალის გულისაგან. ყოველი დღე იწყებოდა მისთვის დაუჯდომელის ლოცვით წინაშე ხატისა ღთის მშობლისა და თავდებოდა მცირე სერობით. ლამპარი სარწმუნოებისა განანათლებდა მთელს მისს არსებას, მთელს მისს სიცოცხლეს.

ეს იყო მხოლოდ ერთი მხარე განსვენებულისა, როგორც სამაგალითო ქალისა და წარმომადგენელისა ძველისა ქართველთა ოჯახისა.

მეორე მხარე, რომლითაც იგი უფრო უმეტესს განსხვავდებოდა თავისთა თანამედროვეთაგან, იყო მისი განთქმული და სამართლიანად ნაქები შრომის მოყვარეობა. ოჰ! ამ შრომის მოყვარეობით-კი ჩვენს პატარას და გამოჩენილს კაცებით ღარიბ ქვეყანაში მან დაუვიწყარი გაადა მისი სახელი. დამბადებელმა ღმერთმა რომ შექმნა კაცი, ქალს უბრძანა: „კვნესითა და რუდუნებითა შობდე შვილსა შენსაო“. ამ სიტყვებით შემოქმედმა განსაზღვრა ყოველი მომავალი დედათა სქესისა. ქალი უნდა იყოს პატრონი ოჯახისა, გამზრდელი და აღმზრდელი შვილთა. მის ხელიდამ უნდა გამოვიდეს მთელი ზნეობით და გონებით სრული კაცი, მან უნდა ჩაუნერგოს შვილთა სიყვარული ღთისა და მოყვასთა, ერთგულება მამულისა და კანონთა. როგორც კაცის თანაშემწე, ქალი, ამის გარდა, უნდა მეცადინეობდეს გამოართვას ბუნებას ის სიმდიდრე, რომელსაც იგი აძლევს მხოლოდ შრომის მოყვარეთა და ცხოვრებისათვის მებრძოლთა. ჩვენის ერის ქალი დიდის ხნიდამ არის ჩვეული შრომასა. როდესაც ქართველი ჯარში იყო და ლაშქრობდა მტერთა წინააღმდეგ, ქალს უნდა გაეწია შრომა შინაც და გარეც. ამ მხრით განსვენებული მხევალი ღთისა ნინო ეკუთნოდა იმ წარსულთა საუკუნეთა და არა ჩვენს განებივრებულს დროს. არც დიდ-კაცის შვილობამ, არც დიდკაცის მეუღლეობამ ვერა დაუგეს მას საფრხე განცხრომით ცხოვრებისა და ვერ შეუსუსტეს მას შრომის-მოყვარე ენერგია. ორმოც-და-ათის წლის განმავლობაში მისის მეცადინეობით ოჯახი მეუღლისა მისისა გახდა უმდიდრესს ოჯახად საქართველოში. ხსენება მისის ოჯახობისა განითქვა კიდიდამ კიდემდე საქართველოსა.

ეს არის ორი ზნეობითი სიმდიდრე განსვენებულისა: სარწმუნოება არის მისთვის სათავე ყოველ გვარის სულიერის სიკეთისა; შრომის მოყვარეობა — საფუძველი ხორციელის კეთილდღეობისა. ამ ორის წყაროსაგან მომდინარეობს ის ბედნიერი და მშვიდობით სავსე ცხოვრება, რომლითაცა აღავსო დამბადებელმან ოჯახი განსვენებულისა.

ვითარსა მაგალითსა და მოძღვრებასა გვაძლევს, ძმანო და დანო, ესე ამ გვარი ცხოვრება განსვენებულისა? დიდსა და ფრიად საყურადღებოსა. ერთმა ჩვენმა დიდებულმა მწერალმა და ფილოსოფოსმა სთქვა ერთს თვისს სასიქადულო ნაწერში: „სახელის მოხვეჭნა სჯობს ყოველსა მოსახვეჭნელსაო“. განსვენებულის პიროვნება და ის სახელი, რომელიც დასტოვა მან ჩვენ შორის, კიდევ ერთჯერ გვიმტკიცებს, რაოდენსა ჭეშმარიტებასა შეიცავს თვის შორის სიტყვა ესე. ვითარცა ქარმან აღგავის მტვერი პირისაგან ქვეყანისა, ესრეთ წარიხოცების მეხსიერებისაგან კაცთასა ხსოვნა კაცისა, რომელსაცა არა აქუს ის მკვიდრი ზნეობითი საფუძველი, როგორიც აქუნდა განსვენებულსა. განსვენებული გვასწავებს მასცა, თუ ვითარ შეიძინების სახელი ესე. „მე მრწამდა და ვშრომობდიო“ შეეძლო მას ეთქვა წარსაწერად ეპიტაფიისა. ირწმუნეთ თქუენცა, ძმანო და დანო. საზოგადოების გახრწნა და ზნეობის დაცემა იქ არის, საცა არ არის სარწმუნოება. სამოქალაქოსა კეთილ-ცხოვრებასა ჰყავს გუშაგად, მფარველად ულმობელი რისხვა კანონთა მეათის ტომისა. სულიერსა ცხოვრებასა და ზნეობისა სიკეთესა, რომლისადმი არა განავრცობს მოქმედებასა თვისსა კანონთა კრება ესე, ჰყავს გუშაგად და მფარველად მხილება სინიდისისა, შიში დაუსაბამოისა სიკეთისა, სარწმუნოება ღვთისა. განაძევით სარწმუნოება საზოგადოებისაგან და თქუენ დაარღვევთ თვით საზოგადოებასა. კაცი ბუნებით არის სუსტი ქმნილება, რომლისა თავისუფალმან ნებამ დაღუპა კაცთა ნათესავი. დაუფიქრდით, ძმანო, კარგად მნიშვნელობასა სარწმუნოებისასა. უეჭველია გსმენიეს თქვენ, რომ ყოფილან და არიან ქვეყანაზე ისეთნი პირნი, რომელთაც მთელი სიცოცხლე განუტარებიათ გარეშე სარწმუნოებისა, მაგრამ შესულან რა მოხუცებულობასა შინა, აღუარებიათ მცნება ღვთისა. რა არის მიზეზი მოვლენისა ამის? — ის, ძმანო და დედანო, რომ მოხუცებული კაცი, ე. ი. გამოცდილი გონება, თუმცა გვიან, ჰპოვებს, რომ ჭეშმარიტება სარწმუნოებისა არის იგივე ჭეშმარიტება სიცოცხლისა და ისტორიისა, რომელსაცა იგი უნაყოფოდ ეძებდა მთელი სიცოცხლე და რომელიცა საღმრთოთა წიგნთა შინა განგებამან დამბადებელისამან და სიბრძნემან ისტორიისამან განგვიმზადნა ჩვენ ყოველთა.

ღმერთმან ინებოს, რომ მოგონებამან განსვენებულისამან, მისმა ცოცხალმა სარწმუნოებამან და შრომის-მოყვარეობამ მისცეს ძალი სულსა და ხორცსა ჩვენსა. ამინ.

## წერილები რედაქციის მიმართ

### I

ბატონო რედაქტორო!

მე მაქვს განსვენებულის იოსებ დავითაშვილის ნაწერები და ვაგროვებ იმის ლექსებს და აგრეთვე სხვა ნაწერებსაც. უკვე შეგროვილი და გადაწერილი მაქვს შემდეგი ლექსები: 1) სტვირი; 2) სიმღერა წუქურთმის მწყემსისა; 3) სიმღერა (მუშა ვარ და კიდეც ვიცი); 4) დარიგება (მახამა გურამიშვილისა, — კაცი ხარ კაცად შობილი); 5) დატვირთულ მუშას (რა გითხრა მუშავ...); 6) ხელოსნების სიმღერა (ხელოსნობა დავარდა); 7) უცხოეთში მომაკვდავი მხედარი; 8) ჩვენს უსტაბაშს; 9) დარიგება (უფალმან შეგქმნა მიწიდამ); 10) უწინდელი ამბავი (მოდით, გლეხნო, აქ დასხდით); 11) მკითხავი; 12) „დროება“; 13) პოეტებს; 14) იაპონელების გაზეთი; 15) საყვირის მკვრელი; 16) სუსტი და ძლიერი; 17) მესტვირული; 18) კნა; 19) გული; 20) ავადმყოფი დედა და შვილები; 21) მარი ბროსსეტ; 22) არხეოლოგები; 23) ახალ-წელიწადს გილოცავთ სულ საქართველოს ერსაო; 24) გლეხის პასუხი (სოფელელი გლეხის შვილი ვარ); 25) ჩემი ლოცვა; 26) გლეხის მასწავლებელი; 27) აღსარება (კაცი არსად მოკვდი); 28 თხოვნა (ჰე, ღმერთო, ერთო); 29) თუნდ გკვდებოდე შიმშილითა; 30) წუთ-სოფელშია ცხოვრება შემქნა გასაჭირადა; 31) მოხუცის სინანული; 32) მუშის წუხილს; 33) მე ქართველი ვარ, ქართლელი; 34) თეატრის მოთამაშეებს; 35) ახალი წელი (დადგა დღეს სხვასთვის); 36) გაზაფხული (ზამთრისა შემდეგ დადგება კეკლუცი გაზაფხულიო); 37) ზაფხული (ზაფხულო, შრომის გვირგვინო); 38) შემოდგომა (შემოდგომა რომ დადგება, ვენახს მიჰყოფენ ხელსაო); 39) ზამთარი (ზამთარი შეჩვენებული, ხელის მამცრელი გლეხისა); 40) გაზაფხული (თებერვალი გავიდა, მარტი დადგა მზიანი); 41) გაზაფხული (გაზაფხულია! ამას ბუნებს დაუშვენა ძირია); 42) მკათათვე (მკათათვე დადგა, ჩამოცხა); 43) ჯეჯილი (იზარდე, მწვანე ჯეჯილო); 44) გლეხის ოჯახი (ადე, ბიჭო,); 45) გვალვის წელიწადს (გვალვის ზაფხული დაგვიდგა); 46) ადე, გოგა, გმარა ძილი; ხუ დაჰკარგე მკელი ძალა; 47) თავგული (ვახო, ხიკო, ვიმღეროთ); 48 ისმის ტირილი დარბაზში; 49) სურათი მწყემსის ცხოვრებიდგან (გაზაფხულის დილა არის); 50) დედა და შვილი (ცას გადაჰკვროდა შავი ღრუბლები); 51) ქუთაისის ძველი საყდრებულო (მაღლობ ადგილზედ — ქარაფსა კლდეზედ); 52) ერთის მერცხლის შემოფრენას თან მოჰყვება მეორეცა; 53) უსამართლოდ პატიმრად ხარ შენ საბრალოვ, ჩემო

მშაო; 54) თაყვანს სცემენ მდიდრად მორთულს; 55) კბილიანი და უკბილო (კბილიანი და უკბილო ერთად ისხდნენ); 56) სატრფოს (სატრფოვ, შენთვის დავიბადე და გავიცან შენი სახე); 57) მოშა ურიას (მებრძოლები, საწყალო, შე...); 58) მეხრეთა ვარ, მინდვრად დავდევ ხარებსა; 59) პატარა ბარტყებს (სუსტ-ფრთიანებო); 60) ხუთი სწავლა (მშაო, გასწავლი ხუთს სწავლას); 61) ბაღი (ვნახე ბაღი, მშვენიერი); 62) მიკრიკი (ჩემო ლექსებო, აწ გგზავნით სამშობლო ქვეყნის პირსაო); 63) ქართველ ქალებს (ქართველო ქალნო, იმხნევეთ, გვარი არ წაგიხდენიათ); 64) მე შენ ვით შეგიყვარო, რას მიგიგავ ეგ ტანი; 65) ბარიშნას (უცხოდ აღზრდილო ქალო, ნუ ხარ ჩემი ორგული); 66) სისაწყლე (წყეული იყავ, სისაწყლევ); 67) ქართლის ბედი დაიბურდა, ყური უგდევით კვნესასა; 68) გიორგი და მინასა (მინას პეტრუზაჩ, მიბრძანეთ); 69) რომელია საყვარელი! (გეკითხებით და მითხარით); 70) ახალს მედუქნეს (კარგს აქებ, ცუდსა აძაგებ); 71) ბედის წყარო (რამ დაგაშრო,—მეშოკლებული და გადაკეთებული); 72) მშრომლების სალამი (იკურთხოს თქვენი მარჯვენა); 73) ხელოსნობა არ გადის, დავალთ უსაქმურადა; 74) გაჭრის სიმღერა (ვზივარ დაღონებული); 75) გლეხი (მთელი ერის მარჩენელი გლეხ-კაცია, მიწის მუშა); 76) ქართველ მხედრებს (ღმერთსა ვთხოვ, რომ დღეგრძელ იქმნეთ); 77) ღარიბი და მდიდარი (ერთხელ ერთსა მდიდარსა კარს მიადგა მშიერი); 78) არაკი (იყო ვინმე კაცი ერთი, შვილა ბოროტის მოქმედი); 79) ერთმა ჭქნა პატიოსნება, მეორე მოდით იკვრებს; 80) ღამის მეხრე ვარ საწყალი, მაწევს კაცური ვალ-ა; 81) სიმღერა (გაჯა, გეტრფი, მშვენიერო თინაო); 82) წყევლიანს (გადიარე, წყევლიანო!); 83) ამერიკის გაზეთები სარკეა ცხოვრებისაო; 84) ბედის წყარო (რამ დაგაშრო, მე ოხერო,—აქ უფრო ვრცლად არის); 85) თქმულება თამარ მეფეზედ (მოდი შენ, ჩემო ქამანჩავ); 86) მართალი (ქართველ ქალებზედ ლამაზი მგონია ქვეყნის პირსაო); 87) ჩემს სატრფოს (სატრფოვ, ვზივარ მწუხარე; ხუცემ მეცა გამასხარე); 88) ქალებს (ამა გვიმტყუნეთ, ქალებო, გვითი რამ მაგალითიო); 89) როგორც მელექსე-მესტვირე, ძმებო, გილოცავთ ამას; 90) ჩვენს სახლსა შემოვიჩვია; 91) დავკარგე, სატრფოს დავეძებ, მარგალიტია-ლალები; 92) მელა (ჩვენს ტყეში დაიარება ერთი მსუნაგი მელაო); 93) გუშინ გოგომ ასე მითხრა; 94) თოლია (ტყვეთა ბურთბილიც მიზოგე); 95) ძმებო და დებო, მამებო, რაც გითამამეთ, კმარაო; 96) მოზის დღესა გილოცავ, მხნე მშრომელო დაო ნინო; 97) გარდახვეწილი ჩიოდა, აქ ყოფნამ დამაბერაო; 98) ნუ ითხოვ ჩემგან არმიყულ ლექსებს; 99) ლექსსა მოგწერ, მაგრამ შიშობ, ვაჰ თუ მითხრა მეტიხარ; 100) ყარიბს მუშას შენა ხარ გულს გადაშლი ხოლმე სევდას; 101) მაიბედდება ვარსკვლავები და მთვარე; 102) სტვირის ხელოსან ქალს (ხელოსანსა სტვირისა, ასული მესტვირისაო); 103) ქართული ლხინი (ერიდეთ უმეცრებასა); 104) მარიამს (ამ ლექსებსა შენ მოგიძღვნი, ქართველთა ქალო მარიამ); 105) ვაი შავსა ჩვენსა ბედსა, აწმყო დროსა დაბურდულსა; 106) მტარვალს (რა გინდა, ჩემო მტარვალო); 107) მარიას (მშვენიერო, მარია); 108) დურგალი გიქუს (გიქუ რომ დურგლობდა); 109) ხალხური ლექსი (პურმა სთქვა: მოგეხსენებათ ამ ჩემას თავის ქებაო); 110) წირვაზედა რომ გნახეთ, ნუღარა ხართ ავი სიტყვით; 111) მადი, ძმაო, ხელი მამე: წინ გავუძღვეთ ამ ბრმა ხალხსა; 112) გიშერა (ბედი მწვავს გიშერას, დღეს არის მისი დღეობა); 113) მამალი და მარგალიტი (მამალმა ნაგავში ქექვის დროს); 114) მუშის ოცნება იწყებს მისდონი, შიოდ და ქუდია); 115) მგელს (მომშორდი, მგელო, მე სამაგელო); 116) ია-ვარდის ტკბილსა სუნსა მთლად მოუცავს არე-მარე; 117) დაკარგული ქალი (შარში კაცის ქალს შევხვდი); 118) თვალს მოსწონს და გულს ახარებს; 119) ნინო (ადგა ნინო დილით ადრე); 120) გამოცანა (არცა ვარ პური, არც ღვინო); 121) ვიღებ კალამსა, გიძღვნით სალამსა; 122) ეპიტაფია (სამშობლოს სიყვარულსა მტლად დავუდევ მე გული); 123) ზღაპარი (იყო ერთი თხაო); 124) წმინდა გიორგის მშვენება; 125) მოიღეთ ზურნა, დამიგდეთ ყური; 126) დედ-მამას დავრჩი ობოლი, ძაღლა დრო გასაჭირია; 127) ქუჩაში ჭყრიხართ მუშებო; 128) სიმღერა (მრომისა შვილო, გლეხო პატარავ); 129) საჩუქარი (ამ ლექსებსა შენ მოგიძღვნი); 130) ნილიკობა (სწავლის შემდეგ, ჭკუ ბაშვებო); 131) დედა და შვილი (არ გეყურებს, ტასიკო?); 132) ია (გაზაფხულდა და აჭყავდა საამურად ტურფა ია); 133) ლალა (წიგნი იკითხე, პაწია!); 134) პატარა ტასოს (ადგა ტასო დილით ადრე, გოგო უნდა ამასთანა); 135) გამოცანა (სულიერია ორ-გვარი); 136) სურათი უძაწვილის ცხოვრებიდამ (გიგას მოუნდა სვირი); 137) თამარ დედოფლის ლექსი (საქართველოს დედოფალი, დედა ქართლისა თამარი); 138) მოხადირის ლექსი (მეფის მოხადირე ვიყავ); 139) გამოცანა (მარმანდელი მამაჩემი); 140) აქა—აქა, ნინო, ჩემო თვალის ჩინო; 141) თამრიკო, კარი გამიღე, ხელში მიჭირავს ქადაო; 142) მეხედეთ, დათაგოს სათვალ მსხლებისთვის წავკიდაო; 143) ნაპოლეონსანს თამამით ერთად გავწიოთ წინაო; 144) პაწაწა, ხეზედ მეჯლომარემ, კატას ჩასძახა მირსაო; 145) თამრო დღეს ხომ კვირა არის, მოწავიდეთ საყდრისკენა; 146) მინდორში აგერ საამოდ რუწყნარად ჩამოხჩრიალებს; 14) ლიზიკო (ლიზიკო, ფეხი აიდგი, რომ დედას გაჰყვე თანაო); 148) ზამთარი (ზაფხულმა განვლო მშვიდობით, დრო დადგა გასაჭირია!); 149) სალამურს უკრავს პატარა, სადაც ჩრდილი და მოლია; 150) მზე ამოვიდა, მიადგა მძახარე ბავშვთა კარსაო; 151) სიმღერა (დამითვსახე ჩემი ნინა, მთვარის შუქი მოეფინა); 152) ვურტუმ-გესი (მე შენ ვით შეგიყვარო, არ იქნები გამტანი) და 153) ამას ვეძახით ნათელ დროს (ირტვევა წმინდა ტაძრები, წყარო ნადენი მილისა). ამ ლექსებს უჭირავთ სულ 154 გვერდი ჩვეულებრივის რვეულისა.

ამას გარდა არის კიდევ ერთი პატარა მოთხრობა, სახელად, „ნატო"—(ამბავი ნამდვილიდამ), — დაუსრულებელია, და ერთი «წერილი მეგობართან» („ცისკარი" № 22 1887 წ.). სულ ლექსება, მოთხრობა და წერილები დაიჭერენ 300-ს გვერდზე მეტს; ი. დავითაშვილის თხზულებანი თუ ერთ წიგნად გამოვიდა, კარგად მოზრდილი წიგნი იქნება და სასიამოვნო საკითხავიც. ჩემს შრომას გადავცემ იმას, ვინც იკისრებს ი. დავითაშვილის თხზულებათა გამოცემას, მემკვიდრე იქნება, თუ სხვა ვინმე კერძო კაცი, ან რომელიმე ამხანაგობა.

სასურველი და სასიამოვნო-კი იქნება, რომ ამ გამოცემას იკისრებდეს ამხანაგობა, დავითაშვილის მემკვიდრე ნოტარიუსის წესით გარდასცემდეს თავის უფლებას ამ წიგნზე რამდენსამე კაცს, ან ერთს რომელსამე სიიმედო კაცს, რომელსაც „ამხანაგობისაგან" მინდობილობა ექმნება მისი დაბეჭდვა. ი. დავითაშვილის ლექსები, მოთხრობა და წერილები ხალხურის კილოთი და ყველასათვის გასაგებ ენით არის დაწერილი და შიგ ბევრი მარგალიტი მოიპოვება. მკითხველი ბევრს კარგს და სასარგებლოს შეიძენს ამ თხზულებიდგან. მკითხველი ბევრს გაიგებს, და სასარგებლოს შეიძენს ამ თხზულებიდგან; ხალხი ამოიკითხავს ლირიულ გრძნობას; ამიდგან გაიგებს, თუ რა უფრო საჭიროა მისთვის, რა აკლია მას, რა უცრავს ხელს და სხ. საჭიროა ეს ყველაფერი ხალხმა იცოდეს და ურიგოდ არ იქნება, რომ ხალხის პირით მოლაპარაკე, იმის გულისდარდების და მდგომარეობის გრძნობით გამომხატველის ნაწარმოები ხალხსავე გაუვრცელდეს. ამისათვის ძრიად საჭიროა წიგნი რაც შეიძლება იაფად გავრცელდეს, რომ ყველას ადვილად შეეძლოს მისი შეძენა. ეს მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც წიგნი გამოიცემა მოგროვილ ფულით, როგორც ახლა გაპირებთ, თუ ნება მოგვეცა განსვენებულის ი. დავითაშვილის მემკვიდრისა. ამ საქმისათვის უკვე შეგროვილი გვაქვს 45 მანეთამდის (ეს ფული მე მაბარია დროებით) და იმედი გვაქვს კიდევ მოვაგროვოთ. თუ მემკვიდრეებმა ნება არ მოგვცეს წიგნის გამოცემისა, მაშინ შეგროვილ ფულებით რამე სახსოვარს დავადგამთ განსვენებულის საფლავსა.

დასასრულ ერთი თხოვნა ყველასთან. მოგეხსენებათ, რომ განსვენებულს ი. დავითაშვილს არა ჰქონდა განსაკუთრებით რვეული ყველა თავის ლექსებისათვის, ისე სწერდა, როგორც მოხვდებოდა და რაზედაც მოხვდებოდა. ამის გამო ზოგიერთი მისი ლექსები გაბნეულია. უმორჩილესად ვთხოვ ყველას, ვისაც აქვს კიდევ სხვა ლექსები ან წერილები ი. დავითაშვილისა ჩემი მოსახსენებელთა გარდა, გამოუცხადოს „ივერიაში", ან ვისა აქვს ისინი, ან სად არის დაბეჭდილი.

გრიგოლ ბურჭულაძე

ქ. თელავი

## II

ბატონო რედაქტორო!

ბ-ნ ქუთაისელის საპასუხოდ

„ივერიის" მე-228 №-ში დაბეჭდილ წერილის შესახებ მომეცით ნება, ბ-ნო რედაქტორო, მოგახსენოთ სრული სიმართლე; საქმე სრულებით ისე არის უთუოდ, როგორც ბ-ნი ქუთაისელი სწერს. ამ ამბის მცოდნე მარტო მე არ გახლავართ, არამედ ბევრნი სხვანიც და, თუ საჭირო იქნება პატივცემულ კაცთა მოწმობა, იმასაც მოგართმევთ. აი საქმის გარემოება: ბ-ნ ვასილ აბაშიძემ მთხოვა მიმეღო მონაწილეობა „თამარ-ცბიერის" წარმოდგენაში და თან დასძინა, რომ ავტორისაგან ნება აღებული მაქვსო. მეც დავთანხმდი და წარმოდგენის დღეც გამოცხადდა. წინა დღეს ტფილისიდამ ჩამოვიდა ავტორი და, რა გაიგო, დიდად აღელდა, მე დარწმუნებული ვარ, ბ-ნს აკაკის არ დაავიწყდებოდა, რა უთხარი მაშინ; აი ჩემი სიტყვები: სულ ტყუილ-უბრალოდ სწუხართ, თქვენ შეგიძლიათ აღარ მიიღოთ წარმოდგენა—უფლება გაქვთ, ან ვ. აბაშიძეს მოსთხოვოთ შემდეგში პასუხი, ან ზარალი. ამაზე ბ-ნმა აკაკიმ მიპასუხა, რომ პიესა მე აღარ მეკუთვნისო; ყოველი უფლება პიესისა გადაცემული მაქვს და არც ნების დართვა შემიძლიან არც აღკრძალვაო. ეგებ პასუხი ბ-ნ აკაკიმ მისცა ბ-ნს ქუთაისის პოლიციის უფროსს და ბევრს სხვასაც, პოლიციის უფროსმა წარმოდგენის წინად ვ. აბაშიძეს ჩამოართვა ხელ-წერილი, რომ თუ ვინიცობაა ბ-ნის აკაკის გარდა ვინმე სხვა გამოჩნდეს პიესის პატრონი, მაშინ ბ-ნ აბაშიძე პასუხს აგებს იმის წინაშე. ამის გამო წარმოდგენაც შესდგა. ახლა თქვენ განსაჯეთ, ბ-ნ რედაქტორო, რატომ არ უნდა მეთამაშნა მე იმ ღამეს, როდესაც თვით ავტორმა უარი სთქვა თავის ნაწარმოების საკუთრებაზედ და ბ-ნი აბაშიძე პასუხის მგებელი გახდა სხვა მესაკუთრის წინაშე. —რა მიზეზი უნდა მეთქვა უარისა? და ან რა შუაშია აქ ის საკითხავები, ბ-ნ ქუთაისელის მიერ ჩემთან მომართული?

არ შემიძლიან პატარა შენიშვნა არ მივცე ბ-ნს ქუთაისელს: რადგანაც თქვენ სიმართლესა, პატიოსნებასა და სხვა ამგვარ მაღალ საგნებზე ასე თამამად ლაპარაკობთ, უმჯობესი იქნება აიხადოთ პირბადე; მაშინ უფრო ნათლად გამოჩნდება სიმართლე და სიმრუდე საზოგადოების თვალში! თვით ბ-ნს აკაკის მოვიყვან მოწმად, რომ პატივცემულ ავტორისაგან „თამარ-ცბიერის" წარმოდგენის ნება მე თითქმის ერთი წლის წინად სიტყვიერად აღებული მქონდა, მაგრამ რადგან თვით ავტორმა ვერ შეიძლო ქუთაისში რეპეტიციებზედ დასწრება და რეჟისორობა, ამისათვის მე არც გადავდგი ეს პიესა. ამის გამო ბ-ნის ქუთაისელის საყვედური, ჩემდამი მომართული, სამართლიანად არ მიმაჩნია. რაც შეეხება „მგოსნის" როლის ასრულებას, მე ამაზედ, რასაკვირველია, არას მეთქმის-რა—ჩემის თამაშის დაფასება წარმოდგენაზე დამსწრე საზოგადოების საქმეა.

ა. მესხი

ქ. ქუთაისი

## III

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ გამოაცხადოთ კულაშის თავად-აზნაურთა საზოგადოების სასცნობლად, რომ მე მათზე არაფერი იმათი საწყენი და არც იმათი საქმეზე წერილი თქვენთვის არა მომიწერია-რა, და რომ მე, ჩემდა სამწუხაროდ, ჟურ-ჟურობით თქვენის პატივცემულის გაზეთის ერთგული მკითხველთაგანი უფრო ვარ, ვიდრე თანამშრომელი, ან კორრესპონდენტი. ამით დამიხსენით იმ უმადურობისაგან, რომელიც გუშინ მე ამტყდა და რომლის უბრალო მსხვერპლად შესაძლოა აწ გავხდე*).

თქვენი ერთგული მკითხველი
ვასილ ნიკოლაძე.

ქ. ქუთაისი
3 ნოემბერი

# ნარევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზ. „Рус. Вѣд."-ი ამტკიცებს, რომ ჩვენ ძალიან ნაკლებად ვაქცევთ ყურადღებას აღმოსავლეთ ქვეყნების ცოდნასაო. აღმოსავლეთის ქვეყნების ცოდნა ჩვენთვის ძრიად საჭიროა, რადგან რუსეთს ყოველ-გვარი კავშირი აქვს ამ ქვეყნებთან, თუ პოლიტიკური და თუ ეკონომიურიო.

სხვებს მდიდარი მწერლობა აქვთ აღმოსავლეთ ქვეყნების შესახებ, ჩვენ-კი მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტი წერილები თუ მოგვეძებნება. იმათ დიდი და მშვენიერი მუზეუმი აქვთ, ჩვენ-კი ღარიბი კოლლექციები. აღმოსავლეთ ქვეყნების ენებსა გვასწავლიან ჩვენ მხოლოდ პეტერბურგის უნივერსიტეტში და ცოტაოდენს კიდევ ლაზარევის ინსტიტუტსა და გარეშე საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტში, მაგრამ აქ სწავლა ძალიან ვიწრო [illegible]. რომელსამე აღმოსავლეთის ენის შესწავლა ჩვენში იშვიათად უფრო ძნელია, ვიდრე დასავლეთ ევროპაში. რიგიანი წიგნები თუ თხზულებანიც არა გვაქვს აღმოსავლეთის საცოდნელად; თუ არის რამე, ისიც მხოლოდ ნათარგმნია. წინად კიდევ ვცდილობდით რასმე ამ მხრივ და ეხლა-კი სულ ხელი ავიღეთ ყველაფერზე.

უცხო ქვეყნების ცოდნა და შესწავლა, რასაკვირველია, საჭიროა. საჭიროა აგრეთვე აღმოსავლეთისაკენ მდებარე ქვეყნების ცოდნაც, მეტადრე იმისთანა ქვეყნებისა, რომელნიც თითქმის მოსაზღვრენი არიან. ასეთი ქვეყნებია, მაგალითად, ჩინეთი, იაპონია, სპარსეთი და სხვანი. მით უმეტესი საჭიროა ესა, რომ ყველა ამ ქვეყნებთან აღებ-მიცემობა და სხვა ყოველ გვარი ურთიერთობა აქვს განმართული რუსეთსა.

# წვრილი ამბები

— პატარა ყმაწვილებს ამბოხება მოუხდენიათ. ზუგდიდის სასულიერო სასწავლებელში აჯანყებულან მოსწავლე ყმაწვილები, რამდენსამე ადგილას გაუტეხნიათ კედელი და სამი მათგანი გაპარულა და წასულა. გაქცეულთა დასაჭერად ჟანდარმები გაუგზავნიათ.

— ერთი გამბედავი ლეიპციგელი ყმაწვილი კაცი, გვარად მეიერი, ასულა ამ დღეებში კილიმანჯაროს მთაზე აფრიკაში. ეს მთა მონბლანზე 3,000 ფუტით უფრო მაღალია. მოგზაური წასულა მთაზე ასასვლელად სოფელ მარანგუდამ. პირველ დღეს მისულა იმ ტყემდე, რომელიც მთის ფერდობებზე აკრავი. მეორე დღეს ეს ტყეები გაუვლია. მესამე დღეს თოვლიან ადგილამდე ასულა. მეოთხე დღეზე უვლია მთით მწვერვალის ძირამდე, სადა ხავსი და ხავსრტუტი ყოფილა თურმე მოფენილი. მეხუთე დღეს თვით მწვერვალამდე ასულა. იქ უნახავს კრატერი, რომელსაც გვირგვინივით ყინული ერტყა გარშემო. ამ ყინულის სარტყელზე-კი ვეღარ ასულიყო გამბედავი მოგზაური, რადგან მისი თანამგზავრი ძრიელ უკან ჩამორჩენილიყო დაღლილობისა გამო. მეიერს მოუვლია დიდი თითქმის მყინვარზე გაუტარებია, ფოტოგრაფიით გადაუღია და კარანდაშითაც გადაუხატნია ზოგი რა და ზოგი რა. კიდევ კარგა ხანს დარჩენილა ამ მთის ფერდობებზე სხვა-და-სხვა ადგილს და შეუგროვებია სხვა-და-სხვა გვარი კოლლექციები: გეოლოგიური, ზოოლოგიური და ბოტანიკური.

— ის 8 ანარხისტი, რომელთაგანაც 7 სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს ჩიკაგოში, შემდეგის ტომისა და წარმომავლობისანი არიან: 6 გერმანელი, 1 ინგლისელი და 1 ამერიკელი.

— ხოლერა იტალიაში მოისპო და ბიულეტენების ბეჭდვა შესწყდა.

# დეპეშა

4 ნოემბერი

პეტერბურგი. დღეს გათავდა ბჭობა და თათბირი გზათა სამინისტ-

*) გვეჭადავთ ამ წერილს და ვაცხადებთ, რომ ბ-ნს ვასილ ნიკოლაძეს არც კულაშისა და არც სხვა რომლისამე საზოგადოების შესახებ ჩვენთვის არავითარიმე წერილი არ მოუწერია.

რედ.

რომში პურის ტარიფების მომატების თაობაზე პორტებში და ხმელეთის საზღვრებზე. ეს ტარიფები წინად დაკლებული იყო, რათა რუსეთის პურს ცილობა გაეწია უცხოეთის პურისათვის. რკინის გზათა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ყველა გზებზე ხელახლად შემოღებულ იქმნას ის ტარიფები, რომელნიც ამ წლის პირველ მარტამდე იყოვო. ამ საქმის გადაწყვეტა მთავრობაზე იქმნება დამოკიდებული.

პეტერბურგის საქალაქო საბჭომ გადაწყვიტა მიიღოს მონაწილეობა იმ საერთა-შორისო კონგრესში, რომელიც გამართულ იქმნება პეტერბურგში 1888-ს წელს საპროფესიო განათლების თაობაზე. კონგრესისათვის საბჭო თავის დარბაზს დაუთმობსო.

დღეს ხელოვნებათა აკადემიაში სადარბაზო აქტი იყო დიდის მთავარის ვლადიმირ ალექსანდრეს ძის თავ-მჯდომარეობით. ანგარიშიდამ სჩანს, რომ მოსწავლენი სულ 507 ყოფილა. ოთხი დიდი და ცხრა პატარა ოქროსი და ასი ვერცხლის მენდალი დაურიგებიათ მოსწავლეთათვის. პროფესორ ბენცისათვის ორმოც-და-ათის წლის სამსახურის სახსოვრად მიურთმევიათ ოქროს მენდალი. აკადემიას მიუწერია ფლორენციის სამოზაიკო სახელოსნოსათვის, რომ მიიღეთ თქვენს სახელოსნოში ორი მხატვარი ჩვენი და ერთიც ტეხნიკიო.

5 ნოემბერი

**პეტერბურგი.** მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა დღეს, 5 ნოემბერს, ინებებენ მიბრძანებას ბერლინში და დღესვე საღამოს წაბრძანდებიან ვერჟბოლოვოს.

ნავოსნობა გუშინ გათავდა; ტამოჟნის ბაირაღი ჩამოშვებულ იქმნა.

„Нов. Вр.“ გვაუწყებს, რომ განზრახვა აქვთ უფრო მტკიცედ განარკვიონ, რა უფლება აქვთ საქალაქო საბჭოებს სავალდებულო დაწესებულებათა დადგენის საქმეში.

„Гражданинъ“-ი ამბობს, რომ დასავლეთ მხარეში მართლ-მადიდებლის ეკკლესიების ასაშენებლად და გასამართავად სთხოვენ მთავრობას 450,000 მან. 200,000 მაგიერ, რომელიც დანიშნული იყო ამ საქმისათვის წელსაო.

„С.-Петерб. Вѣд.“-ი სწერს: სარწმუნო ხმა არის, რომ ვითომ მექარხნეებს ნება მიეცემათ სპირტი გაიტანონ საზღვარ-გარედ გირხოს წარუდგენელად.

„Новости“-ს გაუგონია, რომ ვითომ სახელმწიფო საბჭოს წარუდგენენ თხოვნას ახალის, სახელდობრ, ეკატერინბურგის გუბერნიის დაარსების თაობაზედაო.

იგივე გაზეთი ამბობს, რომ ფინანსთა სამინისტროს, როცა სჯა ჰქონია, დაედოს თუ არა ბაჟი სანთლის წარმოებასაო, გამოუცხადებია, რომ დაიდოს ბაჟად 1 მან. 60 კაპ. თითო ფუთ სტერნის სანთელზეო.

**რომი.** სეფე სიტყვაში პარლამენტის მიერ მუშაობის დაწყების დროს, ნათქვამია, რომ იტალიის გავლენა და ძლიერება თან და-თან უფრო მატულობსო; იმედია, რომ დაცული იქმნება მშვიდობიანობაც, რომელიც იმდენადვე საჭიროა იტალიისათვის, რამდენადაც სხვა დიდ სახელმწიფოთათვისაც, ვისაც კი ჩვენთან ერთად ჰსურს საერთო მშვიდობიანობაო.

**პარიჟი.** ჯერ კიდევ არ გამორკვეულა, რა იქნება გაფფარელის საქმისა და იმ სკანდალის შემდეგ, რომელიც ვილსონს შეემთხვა. დღეს ელიან დიდს ამბავს პალატაში. ბევრნი ჰფიქრობენ, რომ შეიძლება გრევი გადადგეს პრეზიდენტობიდამაო, თუმცა ოფიციოზურად-კი უარ-ჰყოფენ ამ გარემოებას. როიალისტებს იმედი აქვთ, რომ მონარქია კვლავ აღდგენილ იქმნება.

გაზეთ „Gaulois“-ში დაბეჭდილია წერილი ამ სათაურით: „გაუმარჯოს მეფესაო!“ ამისათვის გაზეთი სამართალში იქმნება მიცემული.

**პეტერბურგის ბირჟა, 3-ს ნოემბერს.**

ფ ა ს ე ბ ი:

| | მყიდველისა | | გამყიდველისა | | გაყიდულისა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — | » | — | » | 9 | 3 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — | » | — | » | 180 | |
| მანათიანი ვერცხლის ფული. . . . . . . . | — | » | — | » | 1 | 32 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . | — | » | — | » | 264 | |
| — მეორისა . . . . . | — | » | — | » | 240 | |
| გირავნობ. ფურცელნი: ტფილისის ბანკისა. . . | — | » | — | » | — | » |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — | » | — | » | — | » |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . . . . | — | » | — | » | — | » |

**საკალენდარო ცნობანი**

ქრისტეს აქეთ ჩყპზ(1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

ნოემბერი 30 დღით არის

**6 დღე პარასკევი.** წმ. პავლე აღმსაარებელისა. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-4 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—45. ტფილისში მზე ამოდის 6—53, ჩადის 4—37. მთვარე 4 დღისაა.

**7 დღე შაბათი.** მოწ. იერონისა და ლირსისა ლაზარე საკვირველ-მოქმედისა. სომეხ. წმ. მთავარ-ანგელოზ გაბრიელისა, მიქაელისა და ყოველთა ზეციერ ძალთა. მუსულ. მე-5 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა დღე 11—46. ტფილისში მზე ამოდის 6—54, ჩადის 4—37. მთვარე 5 დღისაა.

**8 დღე კვირა,** კრება წმ. მთავარ-ანგელოზ მიხეილისა და ყოველთა ზეციერ ძალთა. სომეხ. მე-9 კვირა ამაღლებიდგან. ქორწინებათა ნება ეძლევათ. მუსულ. მე-6 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—გაიმართა ტფილისში ახალი საქალაქო სამკურნალო, 1868 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—46. ტფილისში მზე ამოდის 6—55, ჩადის 4—36. მთვარე 6 დღისაა.

**9 დღე ოთხშაბათი.** წმ. მოწ. ონისიფორესი და პორფირისა. კათოლ. მაცხოვრის ეკკლესიის კურთხევა. სომეხ. წმ. მელიტონსი, მინასი და სხ. მუსულ. მე-7 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—46. ტფილისში მზე ამოდის 6—56, ჩადის 4—36. მთვარე 7 დღისაა.

**10 დღე ხამშაბათი.** წმ. მოციქ. ერასტისა, კუარტასი და სხ. კათოლ. წმ. აღმსაარ. ანდრია ავველინელისა. სომეხ. წმ. დიმიტრისა და მოწ. ვასილისკესი. მუსულ მე-8 დღე თვისა რები-ულ-ევველისა, 1305. წ. ჰიჯრისა. გარდაიცვალა მე-11 იმამი ჰასან-ასკიარი (შიიტ.).—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—46. ტფილისში მზე ამოდის 6—57, ჩადის 4 35. მთვარე 8 დღისაა.

**11 დღე ოთხშაბათი.** წმ. მინასი და სხ. კათოლ. წმ. მოწ. ეპისკ. მარტინასი. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-9 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—46. ტფილისში მზე ამოდის 6—58, ჩადის 4—34. მთვარე 9 დღისაა.

**12 დღე ხუთშაბათი.** წმ. იოანნე მოწყალესი და ლირსისა ნილოსი. კათ. წმ. მოწ. ხუთთა ძმათა. სომხ. წმ. გურიასი, სამონისა, აბიბოსი და სხ. მუსულ. მე-10 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ქ. ერევანში შემოღებულ იქმნა საქალაქო დებულება, 1877.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—46. ტფილისში მზე ამოდის 6—59, ჩადის 4—34. მთვარე 10 დღისაა.

**13 დღე პარასკევი.** წმ. იოანე ოქროპირისა და წმ. მოწ. ანტონისა. კათოლ. წმ. აღმს. სტანისლავა კოსტკასი. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-11 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—სტავროპოლში დაარსდა სასულიერო სემინარია, 1846 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—47. ტფილისში მზე ამოდის 7—0, ჩადის 4—34. მთვარე 11 დღისაა.

**14 დღე შაბათი.** წმ. მოციქ. ფილიპესი და იუსტინიანე მეფისა. ალების ლამე შობის მარხვისა. კათოლ. წმ. მოწ. პაპა მარტინესი. სომეხ. მოციქ. ანდრიასი და ფილიპესი. მუსულ. მე-12 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა. დაბადება და გარდაცვლა წინასწარ-მეტყველისა მაჰმედისა (სუნიტ.).—დაბადება მისის დიდებულების იმპერატორის მეუღლის მარია თეოდორეს ასულისა, 1847 წ.—ზაქათალაში გენ. გულიაკოვს ძეგლი აუგეს, 1845 წ.—თ. ანდრონიკაშვილმა გაიმარჯვა ოსმალებზე ახალციხესთან და გამარჯვებულს დარჩა ბანაკი მტრისა, 11 ზარბაზანი და მრავალი ქონება, 1853 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—47. ტფილისში მზე ამოდის 7—1, ჩადის 4—33. მთვარე 12 დღისაა.

**15 დღე კვირა.** წმ. გურიასი, სამონისა და აბიბოსი. დაწყება შობის მარხვისა. კათოლ. წმ. ქალწ. გერტრუდასი. სომეხ. ალების ლამე ჰისნაკის მარხვისა. მუსულ. მე-13 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—48. ტფილისში მზე ამოდის 7—2, ჩადის 4—32. მთვარე 13 დღისაა.

**16 დღე ორშაბათი.** წმ. მოციქულ-მახარებელ მათესი. კათოლ. წმ. აღმსარ. დიდაკასი. მუსულ. მე-14 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—48. ტფილისში მზე ამოდის 7—3, ჩადის 4—32. მთვარე 14 დღისაა.

**17 დღე სამშაბათი.** წმ. გრიგოლ საკვირველ-მოქმედისა, მოწ. გობრონისა და 133 სხ. კათოლ. ქალწ. მოწ. დედოფ. სალომეისა. მუსულ. მე-15 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა. სიკვდილი ეზიდასი.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—49. ტფილისში მზე ამოდის 7—5, ჩადის 4—31. მთვარე 15 დღისაა.


საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ივერია“

1888 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფ ა ს ი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით . . . | 10 მ. — კ. | 6 თვით . . . | 6 მ. — კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 » | 5 „ . . . | 5 „ 25 » |
| 10 „ . . . | 8 „ 75 » | 4 „ . . . | 4 „ 75 » |
| 9 „ . . . | 8 „ — » | 3 „ . . . | 3 „ 50 » |
| 8 „ . . . | 7 „ 25 » | 2 „ . . . | 2 „ 75 » |
| 7 „ . . . | 6 „ 50 » | 1 „ . . . | 1 „ 50 » |

საზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება—17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: *Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.*

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითოეულ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

**არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერების და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.**

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალ იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.

## ჰენის მაღაზია

გოლოვინის პროსპექტი, სახლი მდივანისა, 1-ლ კლასიკურის გიმნაზიის პირდაპირ.

მაქვს პატივი განვუცხადო პატივცემულს საზოგადოებას, რომ ამ დღეებში მივიღე დიდ-ძალი **მზა-მზარეული ტანისამოსი** მამა-კაცთა და პატარა ყმაწვილებისათვის. ტანისამოსები საზამთროა და საშემოდგომო, შეკერილია უკანასკნელს მოდაზე. ფასი ტანისამოსებისა **ზომიერია** და ყველასათვის **ხელ-მისაწვდომი.**

გ. ხუდავერდიანცი

(10—4)

1888 წლის 1 იანვრიდგან გამოიცემა სამეურნეო გაზეთი

# „მეურნე“

გაზეთი გამოვა კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით. გაზეთის პროგრამა: 1) მთავრობის განკარგულებანი მეურნეობისა და სოფლის საქმეების შესახებ; 2) სამეურნეო ეკონომია; 3) ცალკე წერილების საგანი იქნება: ხვნა-თესვა, ბაღოსნობა, ბოსტნის მოყვანა, ვენახის გაშენება, საქონლის მოვლა-მოშენება, აბრეშუმის მოყვანა, ფუტკრის მოშენება და საზოგადოდ ყოველ გვარი სამეურნეო საგანი; 4) სამეურნეო ტეხნოლოგია, ხუროთმოძღვრება (არხიტექტურა) და მეხანიკა; 5) ვეითალობა (ვეტერინარია) და სოფლის ჰიგიენა; 6) მეურნეობის ამბები და კორრესპონდენციები; 7) განხილვა ახალთა გამოკვლევათა, გამოცდათა და აღმოჩენათა მეურნეობაში; 8) სამეურნეო ბიბლიოგრაფია; 9) სოფლის ნაწარმოების ბაზრები; 10) ცნობანი, თუ სად როგორი მოსავლის პირია, რა არის შუშის ფასი და სხვა; 11) მრეწველობა, ვაჭრობა და სტატისტიკა; 12) ნარევი; 13) კითხვა-პასუხი; 14) სურათები; 15) გამოსადეგი ადრესები; 16) განცხადებანი, და 17) დამატება, სადაც დაიბეჭდება სამეურნეო თხზულებანი.

მთელის წლის ფასი გაზეთისა 4 მანეთია, ნახევარ წლისა—2 მან. და ათი შაური. ტფილისს გარეშე მცხოვრებთ ამ ფასს უნდა დაუმატონ ფოსტის ფულად წელიწადში 1 მან. და ნახევარ წელიწადში,—ათი შაური.

ვისაც გაზეთის დაბარება ჰსურს, უნდა მიჰმართოს: ტფილისში—ჩარკვიანის წიგნის მაღაზიას; ხოლო ტფილისს გარეშე მცხოვრებთა—თვითონ რედაქციას ამ ადრესით: Въ Тифлисъ, редакція газеты „Мэурнэ“, на Реутовской ул., д. Сулханова, № 10.

რედაქტორ-გამომცემელი ვასილ სულხანიშვილი.


Доз. ц. н. Тиф. 5 ноября, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Гол. Проспектъ д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.